შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში
(1.04.2022-1.04.2023)

2023 წ

მისია:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ხედვა:

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს.

ღირებულებები:

განათლების ხელმისაწვდომობა;
განვითარებისკენ სწრაფვა;
სამართლიანობა;
პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სტრატეგიული დაგეგმარება 2022-23 წელი

- **2022 წელს რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის და შეფასების სამუშაო ჯგუფი;**
- **ჯგუფის ჩამოყალიბების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:**
  - პროცესში ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობის გაზრდა;
  - გეგმის შემუშავებისას სხვადასხვა ფუნქციური რგოლის წარმომადგენლის ფასეული შეხედულებების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გენერირება;
  - გეგმების იმპლემენტაციის ფაზაში მათი მხრიდან მეტი მხარდაჭერა და კოორდინაცია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაკეთება;
  - ახალი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, საჭიროების შემთხვევაში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის კორექტირება და ცვლილებებით წარმოდგენა; დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გაზიარება და მათი ასახვა აღნიშნული დოკუმენტების პრექტებში;
  - საბოლოო პროექტების საჯაროობის უზრუნველყოფა.
- ჯგუფის მიერ განხორციელდა წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი, იდენტიფიცირებულ იქნა მიმდინარე წელს დაგეგმილი ამოცანები;
- ვინაიდან 2022 წელს შეიცვალა სტრუქტურა, საშტატო პოზიციები, სამუშაო აღწერილობები/ფუნქცია-მოვალეობები, ამის საფუძველზე წინა წლის სამუშაო ჯგუფმა გადახედა/განაახლა მისია, ხედვა, SWOT ანალიზი, ასევე ცვლილებებით ჩამოაყალიბა სტრატეგიული მიზნების ფორმულირებები, მიღწევის ინდიკატორები გახდა უფრო გაზომვადი, რეალურად შეიქმნა ახალი რედაქციით სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზე შემუშავდა 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან(განთავსდა დაწესებულების ვებგვერდზე, დაიგზავნა ელექტრონულ მეილებზე/ერთიან საკომუნიკაციო სისტემებში); შეჯერდა საბოლოო პოზიციები; **რექტორის მიერ 2022 წლის 1 აპრილს დამტკიცდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; საჯაროობის მიზნით დოკუმენტები განთავსდა ვებ-გვერდზე https://www.bta.edu.ge/bta_new/page/13 ;**
- **2022 წლის ოქტომბერში გაკეთდა ერთწლიანი გეგმის შუალედური ანალიზი http://bta.edu.ge/PDF_New/2022-23%20samoqmedoshualeduri.pdf ;**
- **შუალედური შედეგების საფუძველზე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 2022 წლის 7 ნოემბერს შევიდა ცვლილებები, გახანგძლივდა რიგი განუხორციელებელი აქტივობების შესრულების ვადები https://www.bta.edu.ge/PDF_New/stg1.pdf ;**
- **2023 წლის 2 მარტს შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 31 მარტს დაასრულა მუშაობა 2023-24 წლის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტზე, ასევე 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშზე.**
- **2023 წლის 31 მარტს რექტორის ბრძანებით დამტკიცდა 2023-24 წლის სამოქმედო გეგმა.**

2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულების ანგარიში

➢ ინსტიტუციური განვითარება

- აკადემიამ გაიმარჯვა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ტენდერში 2 პროექტით:
  1. მულტილინგვისტური კომპეტენციები - ინგლისური, გერმანილი და ფრანგული ენა;
  2. სოციალური და პიროვნული კომპეტენციები სოციალური და პიროვნული კომპეტენციები.

  პროექტის ფარგლებში 10 თვის განმავლობაში გადამზადდა 370 მსმენელი; პროექტის ,,მულტილინგვისტური კომპეტენციები“ ფარგლებში აკადემიამ განახორციელა 3 თვიანი მოსამზადებული კურსი ინგლისურ ენაში N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისათვის;
- ისრაელსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დამხმარე მუშაკის პოზიციაზე დასაქმება შეუძლიათ - აღნიშნულიდან გამომდინარე ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ დაიმატა გერიატრიული ასისტენტის მოკლევადიანი პროგრამა რის შემდეგაც ისრაელის დელეგაცია ესტუმრა;

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და პატარკაციშვილი- გუდავაძის ფონდის ორგანიზებულ „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო“ გალა დაჯილდოვებაზე, პროფესიული განათლების მასწავლებლის“ ნომინაციაზე ერთ-ერთი ფინალისტი გახდა ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიია“ პროფესიული განათლების მასწავლებელი - გურამ დავითლიძე;

- აკადემიამ წარმატებით მოიპოვა აკრედიტაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების სრულ და არასრულ პროგრაებზე საქართველოს მაშტაბით ოთხ ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ჭიათურა და ბათუმი, სულ 7 დადებითი გადაწყვეტილება;

- ადამინური რესურსების განვითარების მიზნით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისა და საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის ორგანიზებით ჩატარდა HR ფორუმი - ადამიანური რესურების მნიშვნელობა და შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტი.

- აკადემიამ ქალაქ საჩხერეში შეიძინა 3500 კვმ. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება საგანმანათლებლო ცენტრის აშენება.

- აკადემიამ სრულიად განაახლა ელექტროობის და ვებტექნოლოგიების C გარემოები, ასევე დაამატა რესურსები სხვა პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიებს;

- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიამ გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 150-მდე ,,შრომის უსაფრთოხებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე;
- აკადემიამ დააფუძნა სასწავლო საწარმო, რომლის ფარგლებშიც ,,ვებტექნოლოგიების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ სხადასხვა კომპანიის მიერ დაკვეთილ პროექტებს; საწარმოში გაწევრიანებულმა სტუდენტებმა ორ საჯარო სკოლას შეუქმნეს ვებ გვერდი.

- 2022 წელს აკადემიაში რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა შეადგენდა 1307, რაც ბევრად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს;

➢ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

- აკადემიამ წარმატებით გაიარა ISO 9001:2015 ფარგლებში რესერთიფიცირება და შეინარჩუნა საერთაშორისო სერთიფიკატი ;

➢ სასწავლო პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება

- აკადემიაში გაიმართა რიგით მესამე დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა მსხვილმა კომპანიამ;

- აკადემიამ გაიმარჯვა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება ორ სტუდენტურ პროექტში:
  ქ. თბილისში - აქტიური მოქალაქეები ადამიანის უფლებებისთვის
  ქ. საჩხერეში - ენა კულტურის გასაღები
- აკადემიამ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი, ქალაქ თბილისის 129 და ქალაქ საჩხერის 1 და 2 საჯარო სკოლებში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიები“ პროფესიულმა სტუდენტებმა შექმნეს ვებ გვერდი ქ. საჩხერისა და ქ. ვანის საჯარო სკოლებისათვის. აღნიშნული იყო პირველი პრეცენდენტი სისტემაში და სწორედ ამიტომ, აკადემიამ მიიღო მადლობის წერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან!

- ,,ენეგრო პრო ჯორჯიამ“ გააგრძელა ტრადიცია და 2022 წელსაც აკადემიის ელექტროობის პროფესიულ სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია;
- სტუდენტთა შეფასების თეორიული კომპონენტი სრულად გადავიდა ელექტრონულ სისტემაზე და წლის განმავლობაში 50-ზე მეტი შედეგის დადასტურება ჩატარდა ელეტრონულ ფორმტში.
- ჩატარდა სტუდენტური თვითმართველობის არჩევნები და განახლებული შემადგენლობით დაიწყო სტუდენტთა ცხოვრების გამრავაფეროვნება;

საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

- ავსტრიის ქალაქ ვენაში ვენის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სკოლისა და ,,Jean Monet Chair”-ის ეგიდით „საქართველოს ადოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ წევრები სპეციალური მიწვევით მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციაში, ასოციაციასთან პარტნიორობის ფარგლებში კონფერენციაზე მიწვეული იყო ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორი ქალბატონი სოფიო მაჭარაშვილი;

- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) / საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით აკადემია მოხვდა იმ ორგანიზაციების სიაში, რომელთაც შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) მხარდაჭერით ჩაერთონ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women Georgia) მიმდინარე პროექტში.
- აკადემიის რექტორი საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტთან არსებული პროფესიული განათლების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრია;
- აკადემიის რექტორი ნაძალადევის რაიონის სამოქალაქო საბჭოს წევრად აირჩიეს;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა წინსვლის ხელშესაწყობის ღონისძიებების გატარების მიზნით, აკადემიის რექტორი სოფიო მაჭარაშვილი გაწევრიანებულია ბიზნესლიდერთა ფედერაციაში "ქალები მომავლისთვის“; ქალბატონი სოფიო ფედერაციის წევრებთან ერთად მიმდინარე წლის მარტის თვეში იმყოფებოდა ვიზიტით გაეროს შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში ყოველწლიურ ღონისძიებაზე - "ქალთა სტატუსის კომისია-ზე"დასასწრებად.
- აკადემიის რექტორი გახდა ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაცია /GD Women წევრო
- აკადემიის რექტორი პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით „ჯორჯიან თაიმსის“ სატელევიზიო გადაცემის „დილის სელფი“ - თანაწამყვანია, რუბრიკის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დეტალური ანგარიში
(01.04.2022-01.04.2023)

სტრატეგიული ამოცანა	აქტივობები	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	შესრულების მტკიცებულება	პასუხისმგებელი	ინფორმაცია შესრულების შესახებ
სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება					
1.საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება	1. შრომის ბაზრის კვლევა-ანალიზი; 2.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის გაზრდა; 3.არაფორმალური განათლების აღიარების შეთავაზება; 4.საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.	1. შრომის ბაზრის ანალიზით დაფარულია ყველა მიმართულება ; 2.ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება/ერთ პროგრამაში მინიმუმ 10% გაზრდილი რაოდენობა; 3.მინიმუმ ერთი პროგრამის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების შედეგები; 4.განახლებულია ყველა პროგრამა.	1. შრომის ბაზრის ანალიზი; 2.ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება/მინიმუმ 10% გაზრდილი რაოდენობები; 3.არაფორმალური განათლების აღიარების შედეგები; 4.ანალიზის დოკუმენტი და განახლებული პროგრამები.	01;02;03;04	სტრატეგიული ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულია: ➢ იდენტიფიცირებულია მოთხოვნადი პროგრამები, გაკეთებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ასევე აპლიკანტთა მომართვიანობის ანალიზი, ვინაიდან 2023 წელი არის საავტორიზაციოდ მოსამზადებელი პერიოდი აღნიშნული აქტივობა გაგრძელდეს, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ასახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვანია, შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში; ➢ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების პროგრამაზე 2022 წელს ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებით გაიზარდა 50 -ით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა;აღსანიშნავია რომ, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა სრულად შეივსო; დასაქმების მაჩვენებლების და შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა მზარდია, შესაბამისად აკადემია გეგმავს მიმდინარე წელს გაზარდოს ადგილების რაოდენობა მინიმუმ 30-ით; 2022 წლის მიღების ფარგლებში გარდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისა და საოფისე საქმე ინტეგრირებული სრულად შეივსო გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; ➢ სამი პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა არაფორმალური განათლების აღიარებაზე განაცხადების მიღება, დაკონტრაქტდა ახალი კონსულტანტები, თუმცა დადგენილ ვადებში მსურველები არ დარეგისტრირდნენ, ალბათ მიზეზი იყო გარკვეული ფინანსური გადასახადი, აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვანია, შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში; ➢ 2022-23 წლის მონაკვეთში შევიდა ცვლილებები პროგრამებში, საბაჟო საქმის სადიპლომო და სასერთიფიკატო პროგრამები შესაბამისობაში მოვიდა შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან, ცვლილებები შევიდა სასწავლო გეგმებში, ასევე დაემატა რიგ მოდულებს სასწავლო რესურსები, სისტემურად ხორციელდება ახალი პერსონალის დაკონტრაქტება პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ასევე მატერიალური რესურსების განახლება, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პროგრამების განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულია საჭიროებები და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე გაგრძელდება საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა-განვითარება;
2.ინფრასტრუქტურის განვითარება	1.სასწავლო და სამუშაო გარემოს განახლება; 2.საინფორმაციო რესურსების განახლება; 3.საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და გაციფრულება; 4.სარეკრეაციო სივრცეების	1.მინიმუმ 10%-ით განახლებული გარემო; 2.მინიმუმ 10%-ით განახლებული საინფორმაციო რესურსები; 3.მინიმუმ 10%-ით განახლებული/გაციფრულებული საბიბლიოთეკო რესურსები;	1. გარემოს და რესურსების განახლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის შესყიდვები და დათვალიერების შედეგები(ფოტო მასალა);	01;02; 03;04;07	სტრატეგიული ამოცანა მიღწეულია: ➢ 2022-23 წლის მონაკვეთში განახლდა შემდეგი 3 ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემო; ➢ 2022-23 წლის მონაკვეთში განახლდა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების, ვებტექნოლოგიების, მშენებლობის მწარმოებლის, საოფისე საქმის პროფსიული საგანმანათლებლო პროგრამები ფარგლებში სასწავლო გარემო;

	განახლება.	4.მინიმუმ 10%-ით განახლებული სივრცე			➢ 2022-23 წლის მონაკვეთში ბიბლიოთეკას დაემატა 46 ახალი სასწავლო რესურსი და 200 ამდე ელექტრონული სასწავლო რესურსი, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის კონსოლიდირებული ვერსიები; არსებული ბეჭდური წიგნადი ფონდის გაციფრულება არ განხორციელებულა, ვინაიდან პროფესიული განთლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტთათვის ამზადებენ ჰენდაუთებს, რომლებიც იტვირთება ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში. გაგრძელდება საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად ელექტრონული რესურსების სრულყოფა/განახლება; ➢ 2022-23 წლის მონაკვეთში ქალაქ თბილისში, მისამართზე წერონისის ქ.208 მთლიანად განახლდა სარეკრეაციო სივრცე, მიმდინარე წელს იგეგმება სხვა ლოკაციებზეც;
3.პერსონალის განვითარება	1.ახალი პერსონალის მოზიდვა; 2.არსებული პერსონალის შენარჩუნება; 3.პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა; 4.პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.	1. მინიმუმ ერთი ახალი პერსონალის დამატება ადმინისტრაციულ რგოლში, მინიმუმ თითო პროგრამაზე თითო ახალი დარგის მასწავლებლის დამატება; 2.კმაყოფილების დონის გაზრდა მინიმუმ 5%; 3.შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 90%; 4.განხორციელებულია პერსონალის მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 90%;	1. გამოცხადებული ვაკანსიები, ახალ პერსონათან გაფორმებული ხელშეკრულებები; 2.პერსონალის შენარჩუნებისთვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის კვლევის შედეგები; 3.პერსონალის მართვის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების დოკუმენტაცია.	01;02;03;04;14;18	სტრატეგიული ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულია: ➢ 2022 წლის აგვისტოდან ადმინისტრაციას დაემატა ახალი წევრი რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, 2023 წლის მარტიდან ხელშეკრულება გაფორმდა ფსიქოლოგ კონსულტანტთან; ასევე ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალის დამატება, თითოეული პროგრამის ფარგლებში დაემატა მინიმუმ 1 განმახორციელებელი; ➢ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული პერსონალის განვითარების და საჭიროების კვლევის ანალიზის შედეგების მიხედვით, დაწესებულების მიერ შეტავაზებული სერვისებით პერსონალის 90 % კმაყოფილია, რაც გასულ წელთან შედარებით 6% -ით გაზრდილი მაჩვენელელია; ➢ დირექტორის ბრძნაბით დამტკიცებულ პერსონალის განვითარების გეგმაში მოცემული იყო 17 აქტივობა საიდანაც 11 შესრულდა, 2 აქტივობა გადმოტან იქნა ახალ გეგმაში ხოლო 2 აქტივობა არ იქნა გათვალისწინებული ვინაიდან დაკარგა აქტუალობა. გარდა პერსონალირს განვითარების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისა და წესებულებაში ჩატარდა 10 -ზე მეტი ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას.
4.ფინანსური მდგრადობა	1.პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმალიზაცია; 2.მსმენელთა რაოდენობის მაქსიმალიზაცია; 3. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება(ტენდერები, პროექტები)	1.კვოტის შევსება მიმდინარე პროგრამების 80%; 2.მინიმუმ 2 ტენდერის და 2 პროექტის განხორციელება; 3.შემოსავლის გაზრდილი ოდენობა მინიმუმ 10%-ით.	1.ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების და მსმენელების რაოდენობები; 2.ტენდერის და პროექტების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3.ფინანსური ანგარიშები.	01;17	სტრატეგიული ამოცანა მიღწეულია: ➢ 2022 წლის მიღების ფარგლებში დაწესებულებას სამივე ლოკაციაზე გამოცხადებული ჰქონდა 490 ადგილი, ხოლო რეგისტრაცია გაიარა 1307 აპლიკანტმა. გარდაბუღალტრული აღრიცხვის და საოფისე საქმის პროგრამისა, ყველა პროგრამაზე სრულად ან/ და გადაჭარბებით შეივსო ადგილების რაოდენობა. ➢ მოკლევადიან მომზადეიბის/გადამზადების პროგრამებზე 2022წლის საშემოდგომო და 2023 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში სრულად შეივსო გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ➢ დაწესებულებამ გაიმარჯვა უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ 3 პროექტში , ასევე მოიგო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული ორი ტენდერი (მულტილინგვური კომპეტენცია, პერსონალური და სოციალური კომპეტენცია) ➢ აკადემიის შემოსავლები გაზრდილია მინიმუმ 15% -ით
სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება					
1.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა აუდიტი	1.ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; 2. ხარისხის შეფასების შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის; 3. ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება.	1.ხუთივე სტანდარტში განხორციელებული თვითშეფასება; 2.ანალიზის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებული რეაგირებები; 3.სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.	1.თვითშეფასების დოკუმენტაცია; 2.ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები(დასწრების აღრიცხვა, სქრინები და ა.შ); 3.განხორციელებული ცვლილებები/განახლებული დოკუმენტაცია	01;03;04	სტრატეგიული ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულია: ➢ მტკიცებულებები მოგროვებულია და შეკსებულია თვითშეფასების დოკუმენტის აღნიშნული სტანდარტი , თუმცა რეავტორიზაციის მიზნებისათვის მიმდინარეობს პროგრამების გადახედვა და ცვლილებების ინიცირება , შესაბამისად აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში გაგრძელდება მონიტორინგი და თვითშეფასების დოკუმენტის სრულყოფა ➢ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული აქტივობები

2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე აუდიტი	1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე აუდიტის ჩატარება; 2.გარე აუდიტის შედეგების ანალიზი; 3.გარე აუდიტის შედეგების შესაბამისად საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება; 4.ხარისხის საერთაშორისო ნიშნის შენარჩუნება.	1.აუდიტის დადებითი დასკვნა; 2.შენარჩუნებული საერთაშორისო ნიშანი;	1. აუდიტის დასკვნა; 2.საჭიროებისამებრ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი დოკუმენტაცია; 3.მიღებული სერთიფიკატი.	01;02;03	**შესრულებულია** ➢ **ჩატარდა ISO -ს გეგმიური აუდიტი და დადებითი დასკვნის საფუძველზე შენარჩუნებულია ხარისხის საერთაშოისო ნიშანი**
სტრატეგიული მიზანი 3.სასწავლო პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება					
1. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული გარემოს შექმნა	1.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა; 2. ზოგადი კმაყოფილების შეფასება და შედეგების გამოყენება; 3.სტუდენტური თვითმმართველობის განვითარება.	1.დაფიქსირებული საჩივარი/პრეტენზია მაქსიმუმ 1; 2.კმაყოფილების დონე გაზრდილია მინიმუმ 5 %; 3.თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარებულია მინიმუმ 1 ღონისძიება.	1. კმაყოფილების დონის მაჩვენებლები, ანალიზის დოკუმენტი; 2. თვითმმართვლობის მიერ ჩატარებული ღონისძიების ამსახველი დოკუმენტი.	01;02;08;11	➢ **პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით ისინი იცნობენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. დაწესებულების მიერ შეთავაზებული სერვისებით კმაყოფილების ზოგადი მაჩვენებელია 90 %. საანგარიშო წლის განმავლობაში სტუდენტის მხრიდან საჩივარი ან/და პრეტენზია არ დაფიქსირებულა** ➢ **ჩატარებული კვლევის მიხედვთ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 7% -ით;** ➢ **დაწესებულების თვითთმართველობის მიერ ჩატარდა 2 ღონისძიება (საახალწლო ღონისძიება, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო)**
2. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება	1. სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა; 2. დარგის შესაბამისი მასტერკლასების ჩატარება; 3.პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განვითარება.	1.შენარჩუნებულია ჩარიცხული სტუდენტების 80%; 2.ჩატარებულია ყველა დარგში მინიმუმ 1 მასტერკლასი; 3.სტუდენტთა 80% იყენებს ელექტრონულ სტუდენტურ პორტალს;	1. ჩარიცხული და კურსდამთავრებულების რაოდენობრივი მაჩვენებელი(ანალიზი); 2.ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3.სტუდენტური პორტალის დათვალიერების შედეგები;	01;02;03;04;18	**სტრატეგიული ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულია:** ➢ **2022 წლის საშემოდგომო მიღებაზე აკადემიაში ჩაირიცხა 449 პრფოფესიული სტუდენტი, მათგან 2-მა ისარგებლა მობილობით. სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევა არ ფიქსირდება.** ➢ **აღმზრდელის პროგრამის სტუდენტებისათვის თემატიკის შესაბმისი მასტერკალსი ჩაატარა კულირიული შოუს ფინალისტმა, ასევე შრომის უსაფრთხოების სტუდენტებთან მასტესრკალის ჩატარდა სახანძრო საფრთხოების შესახებ; ახალი სამოქმედო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის შესაბამისად დარგის მინიმუმ 1 მასტერკლასების ჩატარება;** ➢ **აკადემიის სტუდენტებისათვის სოციალურ ქსელში შექმნილია დახურული ჯგუფები სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისათვის, სადაც გაწევრიანებულია ყველა სტუდენტი;**
3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სისტემის განვითარება	1.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირება ვაკანსიების შესახებ; 2.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირება დაგეგმილი დასაქმების ფორუმების შესახებ; 3. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად გამოკვეთილი მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგების, საჯარო ლექციებისა და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების შეთავაზება; 4. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება; 5. ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.	1. პლატფორმაზე განთავსებულია თვეში სხვადასხვა პროფილის მინიმუმ 5 ვაკანსია; 2.ჩატარებულია მინიმუმ 1 დასაქმების ფორუმი; 3.დაფინანსებულია მინიმუმ 1 პროექტი; 4. ჩატარებულია მინიმუმ 5 ექსტრაკურიკულარული აქტივობა.	1. ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებული ვაკანსიები; 2.ჩატარებული დასაქმების ფორუმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3.ჩატარებული/დაფინანსებული პროექტის/ექსტრაკულიკურული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.	01;02;;08;14	**სტრატეგიული ამოცანა მიღწეულია:** ➢ **სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის გვერდზე განთავსებულია 50ზე მეტი ვაკანსია.** ➢ **2022 წლის 5 მაიის აკადემიაში ჩატარდა დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პარტნიორმა კომპანიებმა, აკადემიის სტდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორმუშიც.** ➢ **სტუდენტთა ინიციატივით ჩატარებული ორი ღონისძიება დაფინანსდა აკადემიის მხრიდან, ასევე დაწესებულების მიერ მოპოვებული დაფინანსებით განხორციელდა სტუდენტური პროექტები : „აქტიური მოქალაქეები ადამიანის უფლებებისათვის“, „ენა-კუტლურის გასაღები“** ➢ **საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებულია მინიმუმ 10 არაფორმალური აქტივობა;**
სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება					

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

1.ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე ზრუნვა	1.პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო აქტივობების განხორციელება; 2.ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდების განვითარება; 3. საიმიჯო ღონისძიებების განხორციელება;	1. განხორციელებული მინიმუმ 1 ღია კარის დღე; 2.ვებგვერდის და სოციალური გვერდების მოდიფიცირება 30%, მოქნილობის და ინფორმატიულობის კუთხით; 3.განხორციელებული მინიმუმ 1 საიმიჯო ღონისძიება.	1. ჩატარებული ღია კარის დღის შესახებ ინფორმაცია; 2.განახლებული ვებგვერდი და სოციალური გვერდი; 3.ჩატარებული საიმიჯო ღონისძიების შესახებ ინფორმაცია;	01;05;15	➢ 2022 წლის მიღების ფარგლებში დაწესებულებამ ჩაატარა ორი შეხვედრა პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირებისათვის. ➢ შეიცვალა ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ადგილდებარეობა მარტივად მიკვლევადობის მიზნებისათვის. კვირის განმავლობაში დაწესებულების სოციალურ გვერდზე თავსდება საშუალოდ 7-8 სიახლე. ➢ 2022 წლის მაისში ჩატარებული პანელური დისკურსია, HR ფორუმი, GTTV-ის არხზე აკადემიის რექტორის ყოველკვირეული საავტორო გადაცემის ბლოკი.
2.ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა	1.განათლების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა; 2. პროექტის განხორციელება უცხოელი პარტნიორის ჩართულობით.	1. მონაწილეობა მინიმუმ ერთ საერთაშორისო გამოფენაში; 2. მინიმუმ ერთი განხორციელებული პროექტი უცხოელი პარტნიორის ჩართულობით.	1.განხორციელებული აქტივობის /პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	01;05	ამოცანა ვერ შესრულდა ➢ მისი მნისვნელობიდან გამომგინარე გათვალისწინებული იქნება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმაში.
3. სასწავლო - სამეწარმეო სისტემის განვითარება	1. პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება და პრაქტიკული კომპენენტის გაძლიერება; 2.კოლეჯის ბაზაზე დარგობრივი სასწავლო-საწარმოების ჩამოყალიბება; 3. დარგობრივი სასწავლო-საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერება.	1.დარგობრივი მიმართულებებით მინიმუმ ერთი ახალი ობიექტის დამატება; 2. შექმნილია მინიმუმ ერთი დარგობრივი სასწავლო-საწარმო; 3.სასწავლო-საწარმოში ჩართულია მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტი;	1. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება, განხორციელებული პრაქტიკა; 2.შექმნილი და ამოქმედებული სასწავლო საწარმოს დამადასტურებელი დოკუმენტი.	01;02;05	➢ გაფორმებულია 11ახალი ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციებთან ➢ ვებტექნოლოგიების ფარგლებში შეიქმნა სასწავლო საწარმო რომლის ფარგლებშიც მიმდინარე ეგეუფების სტუდენტებმა შემქნეს ვებ გვერდი 2 საჯარო სკოლისათვის. საწარმოში გაერთიანებულია ვებტექნოლგიების ყველა აქტიური სტატუსის მქონდე სტუდენტი.

<u>პასხუხისმგებელი /შემსრულებელი(ადამიანური რესურსი) პირების გრაფაში მითითებული კოდების განმარტება:</u>

რექტორი - კოდი 01
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - კოდი 02
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კოდი 03
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - კოდი 04
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი- კოდი 05
შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - კოდი 06
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - კოდი 07
ადმინისტრაციული პროცესების სამსახურის უფროსი - კოდი 08
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კოდი 09
კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი -კოდი 10
სასწავლო პროცესის სპეციალისტი - კოდი 11
საქმისწარმოების მენეჯერი - კოდი 12
რეესტრის წარმოების სპეციალისტი - კოდი 13
ადამიანური რესურსების და სამართლებრივ საქმეთა მართვის მენეჯერი - კოდი 14
სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი - კოდი 15
ბიბლიოთეკარი - კოდი 16
ბუღალტერი - კოდი 17
პროგრამის ხელმძღვანელი - კოდი 18
პროფესიული განათლების მასწავლებელი -კოდი 19
დაცვის სპეციალისტი - კოდი 20
დასუფთავების სპეციალისტი - კოდი 21